საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №86/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 15 მაისის №86 საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2018 წლის 18 დეკემბერს მოსამართლე -- -- ჩაატარა სასამართლო სხდომა. სათათბირო ოთახიდან გამოსვლის შემდეგ, მოსამართლემ ისაუბრა 3-5 წუთის განმავლობაში, ხოლო შემდგომ წაიკითხა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.

საჩივრის ავტორის განცხადებით, ზემოაღნიშნული სასამართლო სხდომის ოქმი გაყალბებულია, ვინაიდან საქმეში არ არსებობს სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი, ხოლო ნაბეჭდი სახით არსებულ ოქმში სრულად არ არის ასახული სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ გაკეთებული განცხადებები.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 18 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მოსამართლე -- -- გამოაცხადა განაჩენის სარეზულიცო ნაწილი სს საქმეზე №-- ბრალდებულების -- --, -- -- და სხვათა მიმართ.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 18 დეკემბრის განაჩენით -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა -- წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეუმცირდა ¼-ით და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -- წლისა და -- თვის ვადით. მასვე, ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, რომელიც 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განისაზღვრა -- წლისა და -- თვის ვადით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 12 ივლისის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 15 მაისის №86 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი

რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ობიექტურად შეეძლო დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად სათანადო ქმედების განხორციელება, მაგრამ არ განუხორციელებია ის.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).

ზემოაღნიშნულ დისციპლინურ გადაცდომის შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ მოსამართლეთა პროფესიული ქცევის ეთიკური სტანდარტები, რომელიც განსაზღვრავს მოსამართლის სტატუსთან შესაბამის ქცევას. კერძოდ, საქართველოს სამოსამართო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნის 24-ე პუნქტის თანახმად, მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

„სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-2 ღირებულების 2.2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის ქცევა სასამართლო სხდომის მსვლელობისას და სასამართლოს შენობის გარეთ ხელს უნდა უწყობდეს და ამაღლებდეს საზოგადოების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და სასამართლო პროცესის მხარეთა ნდობის ამაღლებას მოსამართლეთა და სასამართლო ორგანოთა მიუკერძოებლობისადმი, ხოლო ბანგალორის პრინციპების მე-3 ღირებულების 3.2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის ქმედებები და ქცევა უნდა განუმტკიცებდეს საზოგადოებას სასამართლოს პატიოსნების რწმენას. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ასევე უნდა არსებობდეს აღქმა საზოგადობაში, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა.

ამასთან, დისციპლინური საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე. კერძოდ, საქართველოს სსსკ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო

სხდომის მდივანი ვალდებულია სრულად და სწორად დააფიქსიროს სასამართლო სხდომის ოქმში სასამართლოს მოქმედება და გადაწყვეტილება, აგრეთვე სასამართლო სხდომის ყველა მონაწილის მოქმედება, განცხადება, შუამდგომლობა, ჩვენება და ახსნა-განმარტება. მდივანს უფლება აქვს, ოქმის მომზადებისას გამოიყენოს სტენოგრაფია, დიქტოფონი და სხვა ტექნიკური საშუალებანი.

ამავე კოდექსის 195-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის შესახებ დგება ოქმი. იგი შეიძლება შედგეს სტენოგრაფიისა და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ოქმში სრულად აისახება სასამართლო პროცესის მიმდინარეობა. ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ და მდივანმა სასამართლო სხდომის დამთავრებიდან ან, სხდომის გადადების შემთხვევაში, სხდომის გადადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა ხელი უნდა მოაწერონ ოქმს, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მხარეებს. ამავე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლო სხდომის ოქმის ხელმოწერის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 5 დღის ვადაში გააკეთონ შენიშვნები ოქმზე. ამ შენიშვნებს 5 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს ამ საქმის განმხილველი სასამართლო. შენიშვნების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც ადასტურებს შენიშვნების სისწორეს ან უარყოფს მათ. ოქმზე შენიშვნები და სასამართლოს განჩინება დაერთვის საქმეს. შენიშვნების წარმდგენ მხარეს შეუძლია სასამართლოს განჩინება გაასაჩივროს განაჩენთან ერთად.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ 2018 წლის 18 დეკემბრის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ შედგენილია სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ მოსამართლე -- -- და სხდომის მდივანი -- --. ოქმის თანახმად, მოსამართლე დაბრუნდა სათათბირო ოთახიდან და გამოაცხადა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი. სასამართლო სხდომის ოქმში ასახულია სხდომის მიმდინარეობის თარიღი, განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა, სხდომის გახსნის/დახურვის საათები და განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.

საჩივრის ავტორის მხრიდან მითითებულ სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის არ არსებობის ფაქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ 195-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხდომის ოქმის აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებით ჩაწერა არ ჩარმოადგენს კანონის იმპერატიულ მოთხოვნას და აღნიშნული ქმედება ექცევა სასამართლოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში. აღნიშნული მუხლის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს სასამართლო სხდომის მიმდინარეობის შესახებ სხდომის ოქმის შედგენა, რაც განსახილველ შემთხვევაში დაცულია. ამდენად, მოსამართლის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ სხდომის ოქმის შინაარსთან დაკავშირებით შენიშვნის არსებობის შესახებ საკითხის განხილვა საქართველოს სსსკ 195-ე მუხლის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად, განეკუთვნება სასამართლოს კომპეტენციას.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცომის ჩადენის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №86/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი